„სიმბოლური ჭრილობები“: ნარატივები ომის შესახებ უკრაინულსა და ქართულ ელექტრონულ მედიაში

„SYMBOLIC WOUNDS“: NARRATIVES ON THE WAR IN URKAINIAN AND GEORGIAN DIGITAL MEDIA

ივანე მჭედელაძე

Ivane Mchedeladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტრავმა, სიმბოლური ჭრილობები, ომი, ციფრული მედია
Keywords: Trauma, Symbolic wounds, war, digital media

ისტორიული და რეალურად მიმდინარე პროცესების კონ-ცეპტუალურმა რეფლექსიამ თანამედროვე ინტერ- და კროს-დისციპლინურ კვლევებში გამოიწვია მეხსიერების კვლევე-ბისადმი მზარდი ინტერესი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღია-რებულია, რომ ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული გამოც-დილების ქვეყნების მეხსიერების კვლევებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ტრავმისა და კულტურული ტრავმის კონცეფციათა პროექცია.

უკრაინამ უკვე გაიარა პოსტკოლონიური პერიოდი და ახლა ევროპული, მოდერნული ერის, ჩამოყალიბების დასკვ-ნით ეტაპზეა. რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო წესრიგის ცვლი-ლებასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფე-როზე იქონია გავლენა. ომი დღეს დისკუსიისა და დებატების ცენტრალური თემაა. კულტურული ტრავმისა და ტრავმული ნა-რატივის თვალსაზრისით, ომს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს *„გავლენის მქონე მოვლენა“*, რომელიც აყალიბებს დისკურსულ კონსტრუქციას.

თანამედროვე ციფრული გლობალიზაციის პირობებში ელექტ-რონულ მედიას მეხსიერების ფორმირებაში საკვანძო როლის შესრულება შეუძლია. მოხსენებაში განვიხილავ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული მეხსიერების ვიზუალურ არეებსა და ნარატიულ მასალას ქართულსა და უკრაინულ მედიაში. მთავარი კონცეპტუალური მიდგომაა, კვლევამ გამოავლინოს ტრავმის თეორიაში აღიარებული *„სიმბოლური ჭრილობები“*, ელექტრონულ მედიაში შექმნილი სიმბოლური ხატები, ტექსტები, რომლებმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და „მეხსიერების ფაი-ლებში“ დარჩა.

შესაბამისმა თეორიულმა კვლევამ უნდა წარმოაჩინოს რო-გორ ახდენს ნარატივები ინდივიდის მეხსიერების კოლექტიურ მეხსიერებასთან მიმართებას. ამგვარი მიდგომით გასაანალი-ზებლად მოხსენებისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევაც

(სიღრმისეული ინტერვიუები, რისთვისაც შეჩეულია ამ საკითხთან სხვადასხვა კუთხით დაკავშირებული განსხვავებული სპეციალობის ადამიანები საქართველოსა და უკრაინაში). ემპირიული მასალების სინთეზისა და დისკურსის ანალიზის შედეგად გამოიკვეთება ტრავმული მეხსიერების ის ხატები და სიმბოლური არეები, რომელთაც ლოგიკურად ვუწოდებთ „სიმბოლურ ჭრილობებს“.

Historic and real processes conceptual reflections in modern inter and cross-disciplinary researches caused growing interest memory studies. In the scientific literature there is confessed that projection of conceptions of trauma and cultural trauma takes a special place in memory studies of countries with totalitarian and post-totalitarian experience.

Ukraine has already passed post-colonial period and now is on the final stage of formation of European, modern nation. Russia-Ukraine war, together with changes in the world's order, affected all spheres of social life. Today the war is the central topic of discussions and debates. From the standpoint of cultural trauma and traumatic narrative the war is an "impact event" which forms discursive construction.

Under conditions of modern digital globalization, electronic media can play a key role in formation of the memory. In the report I examine visual areas connected to Russia-Ukraine war and narrative materials in Georgian and Ukrainian media. The main conceptual approach for research is revealing of *"symbolic wounds"* confessed in the trauma theory, symbolic pictures, texts created in the electronic media, which caused special interest and remained in "memory files".

Corresponding theoretical research shall analyze, show how narratives direct the memory of individual toward collective memory. For analysis by such approach, for the report there was also applied qualitative research via with key informants interview (in the depth

interviews, for which we selected people with various specialities in Georgia and Ukraine, connected to this issue from different standpoints). In result of analysis of synthesis and discourse of empirical materials there will be revealed those images and symbolic areas of traumatic memory, which we logically call “Symbolic wounds”.